



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 52

2011 წლის 09 ივნისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და
სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ 2011 წლის სახელმწიფო
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების,
საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენისა და საპროექტო
განაცხადების ფორმების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს
კანონის 24¹ მუხლის, „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის
„სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და
სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო
პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანებით
დამტკიცებული დებულების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის
მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 2
აპრილის №03 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით


ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 9 აგვისტოს „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის

სამეცნიერო კვლევისათვის“ 2011 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი“.

2. საკონკურსო დოკუმენტაციის სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარმოდგენა შესაძლებელი იქნება 2011 წლის 12 აგვისტოდან 2011 წლის 12 სექტემბრის 18 საათამდე.
3. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ 2011 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის“ პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ 2011 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის“ საპროექტო განაცხადების ფორმები:
 - ა) კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;
 - ბ) საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.
5. საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი (ორ ეგზემპლარად) და ელექტრონული (კომპაქტ დისკზე) სახით.
6. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
7. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური


A handwritten signature in blue ink, appearing to read "Sulakhan Sisauri". It is written in a cursive, fluid style with some variations in thickness and ink saturation.